შპს ბანი 2007

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისათვის

თბილისი 2024 წ.

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 1

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრული შემოსავლისა და

გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....4

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....6

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ,,ბანი 2007" (შემდგომში „კომპანია") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

• მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;

• კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.

• გონივრულ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით,რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ.

დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 30 სექტემბერს

ხელმომწერი პირი

დირექტორი: კ.გილაშვილი

მშობელი კომპანიის შპს „ ბანი 2007“

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024-2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ერთეული ლარი)

კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	2892676	2168011
საქონლის გაყიდვიდან	1423327	804023
მომსახურების გაწევიდან	1460451	1363988
სხვა	8898	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1114970	-759409
საერთო მოგება	1777706	1408602
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3600761	34431
დასაქმებულთა ანაზღაურება	-225936	-206707
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-88450	-141544
საპროცენტო შემოსავალი	590922	587331
საპროცენტო ხარჯი	-76573	-23441
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1330270	-2418603
სულ საოპერაციო ხარჯები	2470454	-2168533
საოპერაციო მოგება	4248160	-759931
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	876940
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	387950	-151062
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4636110	-34053
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	4636110	-34053
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4636110	-34053
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	4636110	-34053
მოგება / (ზარალი)	4636110	-34053
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	4636110	-34053

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4636110	-34053
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	32176036	29182732
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-876939
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	4323519
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-419223
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	36812146	32176036

ხელმომწერი პირი

დირექტორი:

კ.გილაშვილი

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6461902	6404528
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4352139	4926612
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2007192	144968
მარაგები	6062126	4091335
მზა პროდუქცია	1583615	1933452
სხვა	4478511	2157883
საინვესტიციო ქონება	2694228	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5179333	159148
სხვა არამატერიალური აქტივები	4011	4011
ძირითადი საშუალებები	6113757	8967429
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	11741503	11217600
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7447978	7635279
სულ აქტივები	52064169	43550910
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3695115	4520468
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	435272	210821
საგადასახადო ვალდებულებები	169089	121016
გამოუმუშავებელი შემოსავალი	636411	636411
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1244749	181306
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1972440	821790
სხვა ვალდებულებები	7098947	4883062
სულ ვალდებულებები	15252023	11374874
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3627324	3578487
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	33184822	28597549
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	36812146	32176036
სულ საკუთარი კაპიტალი	36812146	32176036
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	52064169	43550910
სულ მოკლევადიანი აქტივები	22055500	15726591
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5544225	5670022

ხელმომწერი პირი

დირექტორი:

კ.გილაშვილი

შპს ,,ბანი 2007" აკონტროლებს და წარმოადგენს მშობელ საწარმოს შემდეგი

კომპანიებისათვის:

1. შპს ,,ბანი ლუქსი„ (ს.ნ 406054852) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდული პირების რეესტრში 20.09.2011წ

   კომპანიის დამფუძნებელია:

   შპს ,,ბანი 2007“ – 100 % წილის მფლობელი;

   კომპანიის დირექტორი: დავით მახარაშვილი პ.ნ. 01007015782

   იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რთველაძის N1

   ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 27/29

   კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 843 600 ლარს.

   კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2. შპს ,,ბანი+“ (ს.ნ 40618171) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდული პირების რეესტრში 01.07.2016წ

   კომპანიის დამფუძნებელები არიან:

   შპს ,,ბანი 2007“ - 51 % წილის მფლობელი;

   გიგა გორგოძე (პ/ნ 60001033842) - 24.5 % წილის მფლობელი;

   გიორგი ფსუტური (პ/ნ 01001003491) - 24.5 % წილის მფლობელი;

   კომპანიის დირექტორი : გიგა გორგოძე პ.ნ. 60001033842

   იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ნავთლუღის ქ.41

   ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 27/29

   კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 112 943 ლარს.

   კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო წარმოადგენს მეოთხე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

3. შპს ,,ლიბერთი სითი" (ს.ნ 205232773) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 29.11.2007წ.

კომპანიის დამფუძნებელია:

შპს ,,ბანი 2007' –100 % წილის მფლობელი;

კომპანიის დირექტორი კობა გილაშვილი პ.ნ. 01011002998

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 27. ბინა 11

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 813 732 ლარს.

4. შპს ,,ორექსუს ქონსთრაქშენი" (ს/ნ 404436384) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 29.01.2013წ.

კომპანიის დამფუძნებელია:

შპს ,,ბანი 2007' –100 % წილის მფლობელი;

კომპანიის დირექტორი გიგა გორგოძე პ.ნ. 60001033842

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალმასიანის ქუჩა N 8/3

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

5. 5. შპს ,,გუთი" (ს/ნ 405167705) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 21.09.2016წ.

კომპანიის დამფუძნებელია:

შპს ,,ბანი 2007' –100 % წილის მფლობელი;

კომპანიის დირექტორი კობა გილაშვილი

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა, N 4, ბ. 6

მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. 2024 წელს კომპანია ანგარიშგებას ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით. ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი კომპანიები არიან ისეთი ინვესტირებული საწარმოები, სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ, რამდენადაც ჯგუფი (i) უფლებამოსილია განსაზღვროს ინვესტირებული საწარმოების ის საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ამონაგებზე, (ii) არის განფენილი ან უფლება აქვს, ინვესტირებულ საწარმოში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული ცვლადი ამონაგების მიღებაზე და (iii) აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებაში, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის ამონაგების ოდენობაზე. ძირითადი უფლებების არსებობა და გავლენა, პოტენციური ხმის უფლებების ჩათვლით, გაითვალისწინება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოსთან მიმართებაში. იმისათვის, რომ უფლება არსებითი იყოს, მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა, მოახდინოს ამ უფლების რეალიზება, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის მიმართულების თაობაზე.

ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს უფლებამოსილება ინვესტირებული საწარმოსთან მიმართებაში იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას აქვს ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმების უფლება ინვესტირებულ საწარმოში. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი აფასებს საკუთარი ხმის უფლების თანაფარდობას სხვა პირების ხმათა ოდენობასა და განაწილებასთან შედარებით, რათა განსაზღვროს, აქვს თუ არა დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებაში. სხვა ინვესტორების დაცული უფლებები, როგორიცაა ისეთი, რომელიც ეხება ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში ფუნდამენტურ ცვლილებებს ან გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ აფერხებს ჯგუფის შესაძლებლობას, აკონტროლოს ინვესტირებული საწარმო. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება ჯგუფისთვის კონტროლის გადაცემის თარიღიდან (შეძენის თარიღი), ხოლო დეკონსოლიდაცია ხდება კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

შეძენის მეთოდით აღრიცხვა გამოიყენება შვილობილი კომპანიების შეძენის აღრიცხვისთვის. შეძენილი

იდენტიფიცირებული აქტივები, ასევე ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, აღებული საწარმოთა გაერთიანების დროს, შეფასებულია შეძენის თარიღისთვის არსებული რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის ზომის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არამაკონტროლებელ წილს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე წილს და მფლობელს უფლებას აძლევს ლიკვიდაციის შემთხვევაში წმინდა აქტივებიდან მიიღოს პროპორციული წილი თითოეულ ტრანზაქციაზე შემდეგი საფუძვლებიდან: (ა) რეალური ღირებულება, ან (ბ) არამაკონტროლებელი წილის პროპორციული ნაწილი შესყიდული საწარმოს წმინდა აქტივებში. იმ არამაკონტროლებელი წილის შეფასება რომელიც არ წარმოადგენს ფლობილ წილს, განისაზღვრება რეალური ღირებულებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლაციფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

• მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.

• ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა. • მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

• აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

• მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში(რომელიც უფრო გრძელია).

• ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის" კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუტაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:ძირითადი საშუალებები ძირითადი

საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუტაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი.

მოგება ან ზარალი(რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პეროდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირთადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით

2024 -2023 წწ

• შენობა-ნაგებობები	25-30
• ოფისის აღჭურვილობა	4-5
• სატრანსპორტო საშუალებები	5-10
• მანქანა - დანადგარები	10
• ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-5

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს(საცხოვრებელი კორპუსები), რომელიც განკუთვნილია გადასაყიდად. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
მარაგები (მზა პროდუქცია)	1 583 615	1 933 452
სხვა მარაგები	4 478 511	2 157 883
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6 062 126	4 091 335

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
(ერთეული ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან	4 352 139	4 926 612
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	2 007 192	144 968
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7 098 947	5 071 580

ამონაგების აღიარება

საწარმოს საქმიანობა არის - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და ამ

საქონლის (პროდუქციის) რეალიზაცია, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს.

.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
სავაჭრო ვალდებულებები	3 695 115	4 520 468
სასეხო ვალდებულებები	3 217 189	1 003 096
სხვა ვალდებულებები	7 098 947	4 883 062
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**14 011 251**	**10 406 626**

ფული და ფულის ექვივალენტები

(ერთეული ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
	6 461 902	6 404 528
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**6 461 902**	**6 404 528**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული

ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით,

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი **3 627 324** ლარის ტოლია.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

კომპანიის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

მომზადებისას საწარმომ გააერთიანა მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით; უგულებელყო თითოეულ შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის; გამოირიცხა შიდაჯგუფური ოპერაციები. მათ შორის : გაცემული და მიღებული დივიდენდის თანხები 3 990 218 ლარის ოდენობით. საკუთარი კაპიტალის ნაწილი;მშობელ საწარმოსა და შვილობილ საწარმოში შიდაჯგუფური სესხი 3 456 300 ლარის ღირებულებით.

არავითარი მნიშვნელოვანი გარიგება არ ყოფილა გამოვლენილი საანგარიშგებო თარიღის დადგომის შემდეგ.

ხელმომწერი პირი
დირექტორი :

კ. გილაშვილი